GRASS FACTCHECK

15 02 2019 № 40

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე

პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ:

2019 წლის 12 თებერვალს, თქვენ მიერ გამოგზავნილ წერილთან (N პ-102-19) დაკავშირებით, გთხოვთ დაგვიზუსტოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. 2006 წლის მონაცემებში, დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა რიცხვში წერია - 10 358. თქვენ მიერ 2018 წლის 11 ოქტომბერს გამოგზავნილ სხვა წერილში (N პ-509-18), რომელიც ამავე მონაცემებს ეხებოდა, მითითებულია რომ 2006 წელს აღკვეთის ღონისძიების სახედ დაპატიმრება გმოყენებულ იქნა 10 367 შემთხვევაში. გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, რამ განაპირონა აღნიშნულ მონაცემებს შორის ცდომილება და რომელი მათგანი არის უფრო ზუსტი.
2. ამასთან, ამავე წერილში ზოგიერთ მონაცემთან გამოყენებულია ამ სახის აღნიშვნა - “X”. გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, თუ რას ნიშნავს ეს აღნიშვნა. კერძოდ, უშუალოდ თქვენ არ გაქვთ მონაცემი ამ პერიოდისთვის, თუ შეიძლება სხვა ობიექტური გარემოება არსებობდეს?
3. 2011 წლის მონაცემებში გრაფა „უარი ეთქვა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე“ ცარიელია. მასში არც მეორე პუნქტში განხილული აღნიშვნა არ გვხვდება. გთხოვთ, განგვიმარტოთ რატომ არის ეს გრაფა თავისუფალი.
4. ამასთან, ამავე წერილით უარი გვეთქვა გირაოს ოდენობის შესახებ მონაცემის მოწოდებაზე, იმ საფუძვლით, რომ გირაოს თანხების აღრიცხვა სასამართლო სტატისტიკაში არ წარმოებს. „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ანგარიშში“ (2013 ივნისი - 2017 მაისი), განხილულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემები გირაოს თანხებთან დაკავშირებით (გვ: 13-14). ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში მსგავსი მონაცემების აღრიცხვა წარმოებს, გთხოვთ, ჩვენი განცხადების საფუძველზე, დაამუშაოთ ამ სახის მონაცემები ასევე სხვა სასამართლოებიდანაც და მოგვაწოდოთ ჩვენ მიერ მოთხოვნილი მონაცემები.

პატივისცემით,

დავით ქუტიძე

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

მისამართი:

თბილისი, კოსტავას ქ. #75გ

საკონტაქტო პირი:

თამარ ქეცბაია

მობ: 599 277 211

e-mail: t.ketsbaia@factcheck.ge

GRASS 406077579 LLC Georgia's Reforms Associates